თემატური ჯგუფი - პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა

თემატური ჯგუფი - ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში

გაერთიანებული სხდომის ოქმი №8

თბილისი 8 ნოემბერი, 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მარინა ჟვანია-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;
2. ქეთევან ფანჩულიძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი;
3. გია ტარიელაძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული დაგეგმვის სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. კოტე ჩოკორაია - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის კოორდინატორი;
5. ნანი დალაქიშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი;
6. ლელა წიფურია - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი;
7. მაია ჩიხლაძე - საზოგადოებრივ კოლეჯ "პანაცეას" დირექტორის მოადგილე;
8. მათე ტაკიძე-თბილისის ტურიზმის პროფესიულ კოლეჯ „იკაროსის" დირექტორი;
9. ლალი ღოღელიანი - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრი
10. ნინო კოპალეიშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვლევის სამმართველოს უფროსი;
11. ნინო ჟვანია - სსიპ ილიას უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
12. ზაზა შუბლაძე - სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრის უფროსის მოადგილე.

სხდომის დღის წესრიგი :

ETF-ის პროექტისათვის მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების განხილვა

ნანი დალაქიშვილმა დამსწრეებს გააცნო განსახილველი საკითხის აქტუალობა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ივლისის თვეში პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის ჯგუფის სხდომაზე განხილულ იქნა ევროპის ტრენინგის ფონდის (ETF) ახალი ინიციატივის - "საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება" - მიზანი: ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობათა გაძლიერება. ინიციატივის ფარგლებში მოხდა პროფესიული კვალიფიკაციების შერჩევა და ჩართული პირების იდენტიფიცირება, რაც განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონაწილეობით, რის შემდეგაც პროექტმა მიიღო საბოლოო სახე და პროექტის ფარგლებში ნოემბრის თვეში იგეგმება სემინარი და ტრენინგები.

SPSP მონიტორინგის პროექტის ექსპერტმა, (ETF) ახალი ინიციატივის - "საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება" პროექტის ეროვნულმა კოორდინატორმა ანი ქიტიაშვილმა დამსწრეებს გააცნო ინიციატივის/ პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

- შერჩეული მიმართულებების (მექანიკური ელექტრობა, ბუღალტერია, ექთნის თანაშმწე) მიხედვით ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მასალების მომზადება, რომლებიც უკეთ პასუხობს პროფესიული განათლების ძირითად ამოცანებს და შსაბამისად, ხელს უწყობს უკეთესად დასაქმებასა და პიროვნულ განვიტარებას;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული მიდგომისა და მეთოდოლოგიის შემუშავება, რომლებიც შესაძლოა განზოგადდეს მთლიანად პროფესიული განათლების სისტემაზე და რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მოქნილი და შედეგზე ორიენტრებული პროფესიული განათლების დებულებების შესრულებას.

აქვე ა. ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ მიზნებიდან გამომდინარე, 2011 წლის 14-15 ნოემბერს ევროპის ტრენინგის ფონდი ორგანიზებას უწევს პირველ სემინარს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საკითხებზე.

სემინარზე განიხილება შემდეგი საკითხები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კონცეპტუალური ჩარჩო და მისი მთავარი ამოცანები;

- ამჟამინდელი მდგომარეობა და ძირითადი ტენდენციები ევროკავშირში;

- უახლესი მოვლენების გავლენა, რაც დაკავშირებულია ევროპის კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლების შედეგებთან;

- სხვადასხვა მონაწილე მხარის როლი/სოციალური პარტნიორები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში, რაც დაფუძნებულია სწავლის შედეგებთან;

- პროცესები, რომელთა საშუალებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ან გადახედვის ინიცირება;

- სწავლების ორგანიზაცია (მოდულები /სხვა);

- სხვა.

სემინარის მონაწილებს შორის იქნებიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლები, მარეგულირებელ ორგანოთა წარმომადგენლები, ევროკავშირის ექსპერტები. მონაწილეები მოისმენენ ევროკავშირის ორი წარმატებული მაგალითის (ირლანდია და ფინეთი) პრეზენტაციას, სემინარის მეორე დღე მიეძღვნება დისკუსიას ეროვნულ საკითხებზე და ტექნიკური სამუშაო ჯგუფების ფორმირებას. დაიგეგმება ტექნიკური სამუშაო ჯგუფების მუშაობის ფორმატი და მოსალოდნელი შედეგები.

ტექნიკური სამუშაო ჯგუფები და პროფესიული პროგრამების განვითარება განხორციელდება სამი კვალიფიკაციისთვის:

- ბუღალტერი
- ექთნის თანაშემწე
- ელექტრიკოსი.

პროექტში ჩართულები იქნებიან პროფესიული ასოციაციები:

- საქართველოს ექთანთა ასოციაცია (პრეზიდენტი ქეთევან გარსევანიშვილი)
- საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (პრეზიდენტი ლავრენტი ჭუმბურიძე).

პროექტის განხორციელების სავარაუდო პერიოდია 2011 წლის ოქტომბერი - 2012 წლის ბოლო.

სხდომის მონაწილეები (ლელაწიფურია, მათეტაკიძე, ნინოჟვანია) დაინტერესდნენ, არის თუ არა შესაძლებელი შეიცვალოს შერჩეული კვალიფიკაციები უფრო პრიორიტეტული, გავრცელებული და მოთხოვნადი კვალიფიკაციებით. ა. ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ კვალიფიკაციების შერჩევა შემდეგი კრიტერიუმებით მოხდა:

- დასაქმებადი სპეციალიზაცია (ბუღალტერი);
- სსიპ კოლეჯების 70%-ზე მეტი ახორციელებს (ელექტრიკოსი);
- მიმდინარეობს საექთნო განათლების რეფორმა საქართველოში.

ამ პროგრამების მაგალითზე მოხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდეგ მისი ადაპრიტება მთელი სისტემისათვის.

დამსწრეები დაეთანხმნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობის მოსაზრებას, რომ მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს პროფესიული კვალიფიკაციების, სტანდარტების და შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული პროგრამების დახვეწა-განვითარება და ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას როგორც ადგილობრივი რესურსები, ასევე დონორთა გამოცდილება და ფინანსური მხარდაჭერა. ამდენად, ამ პროექტის დაგეგმვას და განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ექნება პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებისთვის. დამსწრეები დაეთანხმნენ გაკეთებულ არჩევანს, რაც გულისხმობს აქტივობების განხორციელებას სამი კვალიფიკაციისთვის და პროექტში შესაბამისი ასოციაციების ჩართვას.

კ.ჩოკორაიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია სატრენინგო ტექნიკურ ჯგუფებში შეყვანილ იქნან ავტორიზაციის ექსპერტები.

ლ. ღოღელიანი დაინტერესდა, რამდენად აუცილებელი იქნება იმ ახალი მეთოდოლოგიით პროგრამების გადაკეთება.

მ. ჟვანიამ განმარტა, რომ ეს იქნება რეკომენდაციები, რომლის განხორციელებაც მოხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინაციით ეტაპობრივად.

ნ.ჟვანიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია პროგრამის დღევანდელ მეთოდოლოგიურ სტრუქტურაზე მსჯელობა დავიწყოთ პროგრამების განხორციელების გარკვეული ეტაპის გავლის შემდეგ.

დამსწრეები შეთანხმდნენ:

ზოგადად მოწონებულ იქნას პროექტის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები, ამავე დროს პროექტის მიმდინარეობის პერიოდში მუდმივი მონიტორინგის ფარგლებში მიეწოდოს პროექტის კოორდინატორს საჭირო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია.

მოწონებულ იქნა პროექტის კოორდინატორის მიერ წარმოდგენილი 14-15 ნოემბრის სემინარის პროგრამა და დღის წესრიგი (**დანართი**).

ოქმის მწარმოებელი ნანი დალაქიშვილი

დანართი

სემინარი

საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება

თბილისი, საქართველო, 14-15 ნოემბერი, 2011

ეს სემინარი სათავეს უდებს ღონისძიებას, რომელიც ხორციელდება ევროპის ტრენინგის ფონდის ახალი ინიციატივის - „საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება“ - ფარგლებში, რომელიც გაგრძელდება 2012 წლის განმავლობაში.

ინიციატივის მიზანია ეროვნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლები და შესაბამისი ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კვალიფიკაცია, პროგრამა (კურიკულუმი) და შეფასება, მასწავლებელთა განვითარება) შესაძლებლობათა გაძლიერება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უკეთესი შესაბამისობა სამუშაო ბაზრის არსებულ და მოსალოდნელ მოთხოვნებთან.

ინიციატივის მოსალოდნელი შედეგებია:

- შერჩეული მიმართულებების (მექანიკური ელექტროობა, ბუღალტერია, ექთანი-ასისტენტი) მიხედვით, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მასალების მომზადება, რომლებიც უკეთ პასუხობს პროფესიული განათლების ძირითად ამოცანებს და, შესაბამისად, ხელს უწყობს უკეთესად დასაქმებასა და პიროვნულ განვითარებას;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული მიდგომისა და მეთოდოლოგიის შემუშავება, რომლებიც შესაძლოა, განზოგადდეს მთლიანად პროფესიული განათლების სისტემაზე და რომელსაც შეუძლია, ხელი შეუწყოს მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული პროფესიული განათლების დებულებების შესრულებას;

- პროფესიული სტანდარტები და კვალიფიკაციები (შერჩეული სექტორებისათვის), რომელთა მიზანია მათი ფუნქციის გაუმჯობესება სამუშაოსთან მიმართებით.

ამ მიზნებიდან გამომდინარე, 2011 წლის 14-15 ნოემბერს ევროპის ტრენინგის ფონდი (ETF) ორგანიზებას უწევს პირველ სემინარს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საკითხებზე, რაც ინიციატივის დასაწყისია.

სემინარზე განიხილება შემდეგი საკითხები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კონცეპტუალური ჩარჩო და მისი მთავარი ამოცანები;
- ამჟამინდელი მდგომარეობა და ძირითადი ტენდენციები ევროკავშირში;
- უახლესი მოვლენების გავლენა, რაც დაკავშირებულია ევროპის კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლების შედეგებთან;
- სხვადასხვა მონაწილე მხარის როლი/სოციალური პარტნიორები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში, რაც დაფუძნებულია სწავლის შედეგებზე;
- მონაწილე ინსტიტუტები, მათი როლი და ფუნქციები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) შემადგენლობა და მისი პრაქტიკული გამოყენება;
- პროცესები, რომელთა საშუალებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ან გადახედვის ინიცირება;
- დამტკიცება და ხარისხის უზრუნველყოფა, მაგ., სწავლის შედეგებისა ან კვალიფიკაციისა;
- სტუდენტების შეფასება;
- სწავლების ორგანიზაცია (მოდულები / სხვა);
- სხვა.

სემინარის დაახლოებით 45 მონაწილეს შორის არიან: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლები, მარეგულირებელ ორგანოთა წარმომადგენლები, ევროკავშირის დელეგაცია, ევროკავშირის ექსპერტები და სხვები. სემინარის პირველი დღე მიეძღვნება ცოდნის გაზიარებასა და დისკუსიას ევროკავშირის ორი წარმატებული მაგალითის (ირლანდია და ფინეთი) პრეზენტაციის საშუალებით; სემინარის მეორე დღე მიეძღვნება დისკუსიას ეროვნულ საკითხებზე - თუ რისი გაზიარება შეუძლია საქართველოს პირველ დღეს მიღებული გამოცდილებიდან, ასევე, ტექნიკური სამუშაო ჯგუფების ფორმირებას, სამუშაო გეგმაზე შეთანხმებასა და ტექნიკური ჯგუფის მუშაობის პროცესისა და შედეგების განხილვას. ევროკავშირის გამოცდილი ექსპერტების ჯგუფი უხელმძღვანელებს და რჩევებით უზრუნველყოფს ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მუშაობას.

სემინარის დღის წესრიგი

თბილისი, საქართველო, 14-15 ნოემბერი, 2011

ადგილმდებარეობა: სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერია“, ვარდების რევოლუციის მოედანი, №1.

ორშაბათი, 14 ნოემბერი, 2011

თავმჯდომარე: ევროკავშირის დელეგაცია (პროექტის მენეჯერი ნიკა ყოჩიშვილი)	
09:00 – 09:30	მონაწილეთა რეგისტრაცია
09:30 – 09:50	სემინარის გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მინისტრის მოადგილე, ქ-ნი ირინე ქურდაძე ევროპის ტრენინგის ფონდი (ETF) - ქ-ნი ედუარდა კასტელ ბრანკო
09:50 – 10:20	პროფესიული განათლების კურიკულუმი ევროკავშირში, ძირითადი მიმართულებები და საკანონმდებლო ინიციატივები ევროპის ტრენინგის ფონდი (ETF) - ქ-ნი ედუარდა კასტელ ბრანკო
10:20 – 11:10	პროფესიული განათლების კურიკულუმი: ფინეთის გამოცდილება ქ-ნი კეტი ლოუნემა, მთავარი ტექნოლოგი, კვალიფიკაციის განყოფილება, სახელობო განათლებისა და ტრენინგის დეპარტამენტი, ფინეთის განათლების ეროვნული საბჭო
11:10 – 11:30	კითხვა-პასუხი
11:30 – 11:50	შესვენება
11:50 – 12:40	პროფესიული განათლების კურიკულუმი: ირლანდიის გამოცდილება ქ-ნი მარია ფიტცჯერალდი, პროექტის მენეჯერი, CQA და რისკების მართვა, ირლანდიის ტრენინგისა და დასაქმების ეროვნული ორგანო
12:40 – 12:50	კითხვები და პასუხები
12:50 – 14:00	სადილი
14:00 – 14:40	გამოხმაურება სწავლების შედეგებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) საკითხებზე ევროკავშირის ექსპერტი
14:40 – 14:55	კითხვები და პასუხები
14:55 – 15:45	სემინარის მონაწილეთა გამოხმაურება (რეაქციები): სტრუქტურულ კითხვებზე დაფუძნებული დისკუსია: კონკრეტულად რა შეგვიძლია ვისწავლოთ წარმოდგენილი გამოცდილებიდან? როგორ მოვამზადოთ ჩვენი ინსტიტუტები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების გაუმჯობესებულ პროცესში ჩასართავად? როგორ შევაფასოთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი? როგორ გავაუმჯობესოთ სოციალური პარტნიორების / დამსაქმებლების ჩართულობა ამ პროცესში? ცვლილებები მასწავლებელთა და ტრენერთა როლებში, და სტუდენტთა შეფასებაში.

	მოდერატორი: ნინო კოპალეიშვილი
15:45 – 16:15	შესვენება
16:15 – 16:45	პირველი დღის შეჯამება ევროპის ტრენინგის ფონდი (ETF) - ქ-ნი ედუარდა კასტელ ბრანკო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
16:45 – 17:00	ინფორმაცია მეორე დღისათვის ევროპის ტრენინგის ფონდი (ETF) - ქ-ნი ედუარდა კასტელ ბრანკო

სამშაბათი, 15 ნოემბერი, 2011

თავმჯდომარე: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი	
09:30 – 09:40	მოკლე ინფორმაცია დღის წესრიგთან დაკავშირებით ევროპის ტრენინგის ფონდი (ETF) - ქ-ნი ედუარდა კასტელ ბრანკო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
09:40 – 10.10	სცენა: პროფესიული განათლების სისტემა საქართველოში - რეფორმებისა და მოდერნიზაციის ძალისხმევები. სად ვართ ამჟამად? რა არის ჩვენი მიზნები და მთავარი პრიორიტეტები? საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
10:10 – 11:00	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოში: ძირითადი მახასიათებლები, მარეგულირებელი დოკუმენტები, სახელმძღვანელოები. პროფესიული სტანდარტები. მიღწევები და გამოწვევები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პროფესიული განათლების განმახორციელებლები (სსიპ - კაჭრეთის სახელობო განათლების კოლეჯი)
11:00 – 11:30	შესვენება
11:30 – 12:20	მოდერირებული დისკუსია შემდეგ საკითხებზე: პროფესიული განათლების ტრენინგის შინაარსი და შედეგები: დამსაქმებლებისა და პროფესიული განათლების განმახორციელებელთა მოსაზრებები. რა არის პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციის ძირითადი ძლიერი მხარეები? რა არის მათი ძირითადი სუსტი მხარეები დასაქმების თვალსაზრისით? როგორ კავშირშია ეს

	დაკვირვებები პროფესიული განათლების დებულების - სწავლება, პროგრამა (კურიკულუმი), შეფასება, პრაქტიკული ტრენინგი - ხარისხსა და მნიშვნელობასთან? როგორ არიან დამსაქმებლები ჩართული სწავლების შედეგებისა და კურიკულუმის მიმოხილვაში? სხვა კონკრეტული და პრაგმატული შეთავაზებები. მოდერატორი: ანი ქიტიაშვილი
12:20 – 13:00	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმოხილვა და განახლება: პოლიტიკა და პრაქტიკა, როლები და მონაწილეები. გამოწვევები. სამომავლო ნაბიჯები. პროფესიული განათლების განმახორციელებელთა პრეზენტაცია (სსიპ - ქობულეთის სახელობო განათლების კოლეჯი, სსიპ - ქუთაისის სახელობო განათლების კოლეჯი, სსიპ - საინფორმაციო ტექნოლოგიების კოლეჯი) დისკუსია
13:00 – 14:15	სადილი
14:15 – 17:00	შედეგების დაგეგმვა, სამუშაო გეგმა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატივის როლები და პასუხისმგებლობები ევროპის ტრენინგის ფონდის (ETF) ექსპერტების მხარდაჭერით. ტექნიკური სამუშაო ჯგუფების ფორმირება. დასკვნითი შეჯამება შესვენება